№2148 2015 წლის 6 ოქტომბერი ქ. თბილისი

საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება საჩხერის მუნიციპალიტეტს, „საქართველოს რეგიონებში ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის №972 განკარგულების საფუძველზე – 68 200 (სამოცდარვა ათას ორასი) ლარის, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულების საფუძველზე – 159 921 (ას ორმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოცდაერთი) ლარის, „საჩხერის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 სექტემბრის №1800 განკარგულების საფუძველზე 40 002 (ორმოცი ათას ორი) ლარის ეკონომიების, ჯამში – 268 123.00 (ორას სამოცდარვა ათას ას ოცდასამი) ლარის ფარგლებში, საჩხერის მუნიციპალიტეტის არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების: იტავაზას, ბახიოთისა და ცხამის (ეთო-ეხვევის უბანი) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების, ქ. საჩხერეში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (კონსტიტუციის ქუჩა, ვიქტორ ნოზაძის ქუჩა, რაჭის ქუჩის პირველი და მეორე ჩიხი, დურმიშიძის ქუჩის მე-2 ჩიხი, შათაშვილის ქუჩის პირველი ჩიხი, ვაჟა ფშაველას ქუჩის მე-2 ჩიხი და აკ. წერეთლის ქუჩის მე-2 ჩიხი) რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის ჭალოვანისა და ცხომარეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში საცხოვრებელი სახლების გაზმომარაგების ქსელის მოწყობის მიზნით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**